დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 4 აპრილის N4 ოქმით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

სტუდენტთან კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია

1. ეს წესი განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგეტის დაგეგმვის მექანიზმებს და მეთოდოლოგიას.
2. უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ხორციელდება თითოეული აკადემიური პროგრამის მიხედვით.
3. თითოეულ პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისთვის მნიშვნლოვანია შემდეგი პარამეტრები:
   - სტუდენტთა არსებული რაოდენობა;
   - დამამთავრებელი სტუდენტების რაოდენობა;
   - მისაღები სტუდენტების რაოდენობა;
   - პროგრამიდან განთესვა (სტუდენტის გასვლა პროგრამიდან სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის ან სხვა პროგრამაზე/უნივერსიტეტში მობილობის წესით გადასვლის გამო);
4. პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის შემდეგი თანაფარდობა მიმართულებების მიხედვით:
   - საბაკალავრო საფეხურზე სოციალური მეცნიერებების, ჰუმანიტარული მეცნიერებების, განათლების, ხელოვნების, ასევე სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების, საინჟინრო, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მათემატიკის მიმართულებების პროგრამებისთვის - 1 პროფესორი არაუმეტეს 70 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 2 პროფესორისა თითოეულ პროგრამაზე (ორივე პროფესორის კვალიფიკაცია ან/და კვლევითი პროფილი უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას);
   - სამაგისტრო საფეხურზე სოციალური მეცნიერებების, ჰუმანიტარული მეცნიერებების, განათლების, ხელოვნების, ასევე სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების, საინჟინრო, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მათემატიკის მიმართულებების პროგრამებისთვის - 1 პროფესორი არაუმეტეს 40 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 3 პროფესორისა თითოეულ პროგრამაზე (მინიმუმ ორი პროფესორის კვალიფიკაცია ან/და კვლევითი პროფილი უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას);
   - საბაკალავრო საფეხურზე სამართლის მიმართულების პროგრამებისთვის - 10 პროფესორი 1000 სტუდენტზე; 18 პროფესორი 2000 სტუდენტზე (რომელთაგან მინიმუმ 10 პროფესორის კვალიფიკაცია ან/და კვლევითი პროფილი უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას);
   - სამაგისტრო საფეხურზე სამართლის მიმართულების პროგრამებისთვის - 1 პროფესორი არაუმეტეს 40 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 2 პროფესორისა

თითოეულ პროგრამაზე (რომელთა კვალიფიკაცია ან/და კვლევითი პროფილი უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას);

- საბაკალავრო საფეხურზე ბიზნესის მიმართულების პროგრამებისთვის - 10 პროფესორი პირველ 1000 სტუდენტზე, 8 პროფესორი - ყოველ შემდეგ 1000 სტუდენტზე.
- სამაგისტრო საფეხურზე ბიზნესის მიმართულების პროგრამებისთვის - 1 პროფესორი არაუმეტეს 40 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 2 პროფესორისა თითოეულ პროგრამაზე.
- სადოქტორო საფეხურის პროგრამებისთვის - 1 პროფესორი არა უმეტეს 5 დოქტორანტზე.

5. პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტებისა და მოწვეული პერსონალის შემდეგი თანაფარდობა მიმართულებების მიხედვით:
   - საბაკალავრო საფეხურზე სოციალური მეცნიერებების, ჰუმანიტარული მეცნიერებების, განათლების, ხელოვნების, ასევე სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების, საინჟინრო, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მათემატიკის მიმართულებების პროგრამებისთვის - 1 მოწვეული ლექტორი 20 სტუდენტზე;
   - სამაგისტრო საფეხურზე სოციალური მეცნიერებების, ჰუმანიტარული მეცნიერებების, განათლების, ხელოვნების, ასევე სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების, საინჟინრო, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მათემატიკის მიმართულებების პროგრამებისთვის - 1 მოწვეული ლექტორი 20 სტუდენტზე
   - საბაკალავრო საფეხურზე სამართლის მიმართულების პროგრამებისთვის - 1 მოწვეული ლექტორი არაუმეტეს 25 სტუდენტზე.
   - სამაგისტრო საფეხურზე სამართლის მიმართულების პროგრამებისთვის - 1 მოწვეული ლექტორი არაუმეტეს 20 სტუდენტზე.
   - საბაკალავრო საფეხურზე ბიზნესის მიმართულების პროგრამებისთვის - 1 მოწვეული ლექტორი არაუმეტეს 20 სტუდენტზე.
   - სამაგისტრო საფეხურზე ბიზნესის მიმართულების პროგრამებისთვის - 1 მოწვეული ლექტორი არაუმეტეს 15 სტუდენტზე.

6. პროგრამებზე, რომლებშიც გათვალისწინებულია ლაბორატორიული, ექსპერიმენტული, კლინიკური (მათ შორის სამართლის კლინიკა), სიმულაცია (იმიტირებული სასამართლო პროცესი, ბიზნეს სიმულაციები) ან/და საველე კომპონენტები, სტუდენტის კონტინგენტის დაგეგმვისას უნდა იყოს გათვალისწინებული შესაბამისი ხელმისაწვდომი რესურსები (მაგ. ლაბორატორიის შემთხვევაში სტუდენტების რაოდენობა ერთ ლაბორატორიულ მეცადინეობაზე, საველე კომპონენტის შემთხვევაში - სტუდენტების რაოდენობა პროგრამით/შესაბამისი კურსით გათვალისწინებულ საველე სამუშაოს შესასრულებლად);

7. პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრისას, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემით გათვალისწინებული სწავლებისა და კვლევისთვის დადგენილი საათობრივი დატვირთვა;
8. პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ხდება ყოველწლიურად, ყოველი მომდევნო აკადემიური წლისთვის;
9. სტუდენტთა ყოველწლიური სამიზნე ნიშნულის ვერმიღწევის შემთხვევაში, შესაძლებელი ხდება პროგრამაზე/პროგრამებზე შიდა ან/და გარე მობილობის გამოცხადება პროგრამაზე/პროგრამებზე არსებული თავისუფალი ვაკანსიების გათვალისწინებით;
10. პროგრამებზე/პროგრამებზე კონტინგენტის დაგეგმილი ყოველწლიური რაოდენობები (სამიზნე ნიშნულები) მტკიცდება ფაკულტეტის/სკოლის საბჭოზე და მათი წარდგინებით - აკადემიურ საბჭოზე;
11. ფაკულტეტი/სკოლა აცხადებს მიღებებს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის პროგრამებზე დამტკიცებული ნიშნულების გათვალისწინებით.
12. პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის შემთხვევაში, ფაკულტეტი/სკოლა უზრუვნელყოფს აკადემიური პერსონალის გაზრდას მე-4 პუნქტში განსაზვრული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით.